s a q a r T v e l o
Coxatauris municipalitetis sakrebulo

Coxatauri wereTlis q. #2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #3

4 იანვარი 2012 წ.

ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლისა და განხორციელებული შესყიდვების (მომსახურება,სამუშაო) მიღება–ჩაბარების მიზნით ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და დებულების „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის“ 22-ე მუხლი 1 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ 2012 წელში სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული განხორციელებული შესყიდვების (მომსახურეობა, სამუშაო) მიღება–ჩაბარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

დიმიტრი კორიფაძე – გამგებლის მოადგილე – ჯგუფის ხელმძღვანელი;

ტარიელ ჩხიკვაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი – წევრი;

ნინო სიხარულიძე _ მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში – წევრი;

გოგი ბოლქვაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტი ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში – წევრი.

გიორგი სიმონია – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი მიწის მართვის საკითხებში – წევრი.

ჯემალი სიხარულიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი – წევრი.

პაატა ბერიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში – წევრი;

მალხაზ წიქორია – მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი იერსახისა და დასუფთავების საკითხებში – წევრი;

2. დაევალოს ინსპექტირების ჯგუფს მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ 2012 წელში განხორციელებული შესყიდვების (მომსახურეობა, სამუშაო) მიღება – ჩაბარება.

– მიღება–ჩაბარების შუალედური და საბოლოო აქტების გაფორმება.

3. კომისიაში საჭიროების შემთხვევაში მოწვეული იქნეს სპეციალისტები და ექსპერტები.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 2 თებერვლის ბრძანება №25 – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული განხორციელებული შესყიდვების (საქონელი, მომსახურეობა, სამუშაო) მიღება–ჩაბარების მიზნით ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე ჭავჭავაძის ქ. # 4.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*